საპროკურორო საბჭო
Prosecutorial Council

№ ____ _____ 20

თბილისი 16 დეკემბერი 2019 წელი

განკარგულება N2

საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად

კონსულტაციის დაწყების შესახებ

,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტების, საპროკურორო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე, საპროკურორო საბჭო ადგენს:

1. საპროკურორო საბჭომ, გენერალური პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად, 2019 წლის 17 დეკემბრიდან დაიწყოს ერთთვიანი კონსულტაციები აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან.

2. გენერალური პროკურორობის კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვთ საინიციატივო ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს. განაცხადს უნდა დაერთოს ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

3. საპროკურორო საბჭოს სამდივნოს დაევალოს უზრუნველყოს გენერალური პროკურორობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაცია ამ განკარგულების გამოცემიდან 30 დღის განმავლობაში.

4. საპროკურორო საბჭო, უფლებამოსილია, დაუკავშირდეს გენერალური პროკურორობის კანდიდატობის მსურველებს, მათ ყოფილ და ამჟამინდელ დამსაქმებლებსა და კოლეგებს, შესაბამისი სასწავლებლების ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე იმ დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელია ინახებოდეს ინფორმაცია კანდიდატობის მსურველის ნასამართლობის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან/და შეწყვეტის შესახებ დისკრეციის გამოყენებისა და განრიდების, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის ან მოწმის სახით მონაწილეობის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებში მონაწილეობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის, სამეწარმეო და მოვალეთა რეესტრებში რეგისტრაციის შესახებ, ასევე დაუკავშირდეს ყველა იმ პირს, ვისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მისი კვალიფიკაციის, პიროვნული და პროფესიული უნარების შესახებ. ამასთან, უფლებამოსილია გამოითხოვოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისაგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში. ამასთან, საპროკურორო საბჭოს უფლება აქვს გადაამოწმოს კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე. საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. აღნიშნული განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელოს საპროკურორო საბჭოს სამდივნომ.

6. ეს განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე ნანა ხუნჯუა

<u>**დანართი: 1**</u>

საპროკურორო საბჭოსათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ✓ მომართვა საპროკურორო საბჭოს;
- ✓ გენერალური პროკურორობის კანდიდატობის მსურველის წერილობითი თანხმობა (თანდართული ნიმუშის სახით);
- ✓ გენერალური პროკურორობის კანდიდატობის მსურველის სამოტივაციო წერილი;
- ✓ Curriculum Vitae (CV);
- ✓ არანაკლებ 2 რეკომენდატორი - მათი საკონტაქტო ინფორმაცია (განაცხადის პირადად წარმოდგენის შემთხვევაში);
- ✓ ფოტო ბეჭდური ან ელექტრონული სახით;
- ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- ✓ უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ✓ დიპლომის დანართის (ნიშნების ფურცლის) ასლი;
- ✓ სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი ან/და ცნობა (ასეთი ხარისხის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ, ნამსახურობის ნუსხა ან შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს: სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლედ ან პროკურორად ან სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებას ან იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებას;
- ✓ ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- ✓ ცნობა მსჯავრდების შესახებ, სადაც იქნება ინფორმაცია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, ასევე გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის შესახებ - ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- ✓ ცნობა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;
- ✓ ცნობა მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- ✓ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV - 100/ა);
- ✓ ცნობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ;
- ✓ ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვის შესახებ;
- ✓ ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც დამატებით ადასტურებს ,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კანდიდატის მაღალ ავტორიტეტს, ზნეობის და პროფესიული თვისებების გამო.

საქართველოს პროკურატურის საპროკურორო
საბჭოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ **ნანა ხუნჯუას**

მოქალაქე ----------
პირადი № ----------

საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციის
მიხედვით:

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თანხმობას ვაცხადებ საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საბჭოს მიერ განხილული იქნას ___ მიერ წარმოდგენილი ჩემი კანდიდატურა საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე შესარჩევად.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, თანახმა ვარ ჩემს შესახებ ინფორმაციის მოძიებისას საპროკურორო საბჭოს წევრები ან/და საბჭოს მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები (სამდივნოს წარმოადგენლები) დაუკავშირდნენ ყოფილ და ამჟამინდელ დამსაქმებლებსა და

კოლეგებს, შესაბამისი სასწავლებლების ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე იმ დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელია ინახებოდეს ინფორმაცია ჩემი ნასამართლობის, ჩემს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან/და შეწყვეტის შესახებ დისკრეციის გამოყენებისა და განრიდების, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის ან მოწმის სახით მონაწილეობის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებში მონაწილეობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის, სამეწარმეო და მოვალეთა რეესტრებში რეგისტრაციის შესახებ; ასევე დაუკავშირდნენ ყველა იმ პირს, ვისგანაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ჩემი კვალიფიკაციის, პიროვნული და პროფესიული უნარების შესახებ. ასევე გამოითხოვონ ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმ სამეწარმეო სუბიექტისაგან, რომელიც საქმიანობს საკრედიტო ინფორმაციის სფეროში.

ამასთან, უფლება აქვთ გადაამოწმონ ჩემი კანდიდატურის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სიზუსტე და სისრულე. საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტაცია.

თანახმა ვარ ჩემი კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) დამუშავება/გასაჯაროებაზე.

პატივისცემით, (ხელმოწერა)

(თარიღი)